უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება

მეიჯარე: **შპს „აღ-ჯი"** (ს/კ 405322137)

მოიჯარე: **სს არჩი დაზღვევა** (ს/ნ: 405662242)

პრეამბულა

ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები ვითვალისწინებთ რა, რომ:

- 2024 წლის 10 მაისს სს საჯარო დაზღვევის კომპანია ავტოგრაფსა (ყოფ. სს არჩი დაზღვევა, ს/ნ:404858631) და მეიჯარეს შორის შეწყდა 2020 წლის 10 ივნისს გაფორმებული უძრავი ქონების (ს/კ: 01.14.05.007.716) იჯარის ხელშეკრულება (რეგ. №882020296988);
- 2024 წლის 10 მაისს საწარმოს გადაცემის ფარგლებში სს საჯარო დაზღვევის კომპანია ავტოგრაფამ (ს/ნ:404858631) თავისი უფლებები და ვალდებულებები გარკვეული ნაწილი გადასცა სს არჩი დაზღვევას (ს/ნ:405662242), მათ შორის აღნიშნულ ქონებაზე მეიჯარესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში წინსწრებით გადახდილი ბოლო თვის საიჯარო საფასური - 9 000 აშშ დოლარის ოდენობით;
- მეიჯარე თანახმაა აღნიშნული 9 000 აშშ დოლარის გაქვითვა განახორციელოს სს არჩი დაზღვევასთან (ს/ნ:405662242) გაფორმებული ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

შესაბამისად, მხარეები ვთანხმდებით შემდეგ სახელშეკრულებო პირობებზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო „მოიჯარე" ღრიცხვით სარგებლობაში იღებს „მეიჯარის" საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებას (შემდგომში „იჯარის ობიექტი") :

- საკადასტრო კოდი: **01.14.05.007.716**;
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა №28
- ფართი: 1331,51 კვ.მ. შენობა N1 (მათ შორის 1239,6 კვ.მ - საოფისე ფართი; 80 კვ.მ - კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი; 11.9 კვ.მ. -დამხმარე ფართი).

1.2. იჯარის ობიექტი მოიჯარეს გადაეცემა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.

2. იჯარის ფასი და გადახდის პირობები

2.1. „იჯარის ობიექტით" სარგებლობის ყოველთვიური საფასური (შემდეგ – „საიჯარო ქირა") შეადგენს **10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში**, გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსითა და ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტის შესაბამისად.

2.2. საიჯარო ქირა მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სახელმწიფო თუ ადგილობრივ გადასახადს და მოსაკრებელს, რომლის დაანგარიშებასა და ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს მეიჯარე.

2.3. საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის 10 რიცხვისა, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღების დასახელება: შპს აღ-ჯი;

მიმღები ბანკი: სს საქართველოს ბანკი

ა/ა: GE79BG0000000162035269

2.4. მეიჯარეს წინსწრებით მიღებული აქვს ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ბოლო თვის საფასური - **9 000 აშშ დოლარი** ოდენობით.

2.5. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ უცხოური ვალუტის (აშშ) კურსი ლართან მიმართებით გაიზრდება 3.6 ნიშნულზე მაღლა, მოიჯარე მოახდენს საიჯარო ქირის გადახდას 1$=3.6 ლარის კურსით, ხოლო თუ უცხოური ვალუტის (აშშ) კურსი ლართან მიმართებით იქნება 2.7 ნიშნულზე დაბლა, მოიჯარე მოახდენს საიჯარო ქირის გადახდას 1$=2.7 ლარის კურსით.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. "მოიჯარე" ვალდებულია:

3.1.1. გადაიხადოს საიჯარო ქირა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით;

3.1.2. მოუაროს „იჯარის ობიექტს", დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარიული მოთხოვნები, შენობაში არსებული მოწყობილობებისა და ინვენტარის, აგრეთვე არსებული საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები;

3.1.3. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „იჯარის ობიექტის" დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „მეიჯარეს" და მისი მითითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;

3.1.4. ითმინოს „მეიჯარის" მხრიდან „იჯარის ობიექტის" შესანახად საჭირო ზემოქმედება, რომელიც ხორციელდება „მოიჯარის" ინტერესების გათვალისწინებითაც და არ აფერხებს მის მიერ „იჯარის ობიექტით" სარგებლობას;

3.1.5. წინასწარი შეტყობინების საფუძველზე დაუბრკოლებლად შეუშვას „მეიჯარე" ან მისი წარმომადგენელი საიჯარო ობიექტზე ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების, სანიტარიული და ტექნიკური პირობების კონტროლის და შემოწმების მიზნით;

3.1.6. სურვილის შემთხვევაში, თავისი ხარჯებით ჩაუტაროს საიჯარო ობიექტს მიმდინარე რემონტი და გაუმჯობესებანი ოფისის ნორმაღური ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, ამასთან რემონტის და გაუმჯობესებების ხარჯები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება და არ ჩაეთვლება საიჯარო ქირაში;

3.1.7. დროულად გადაიხადოს დაკავებული ფართის კომუნალური გადასახადები არსებული ტარიფებით;

3.1.8. „მეიჯარესთან" შეთანხმების გარეშე არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც გამოიწვევს საიჯარო ობიექტის მნიშვნელოვან ცვლილებას, მათ შორის კაპიტალური რემონტი, მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და სხვა;

3.1.9. აუნაზღაუროს „მეიჯარეს" ზიანი, რომელიც მიადგა საიჯარო ქონებას „მოიჯარის" არამართლზომიერი ქმედების შედეგად.

3.1.10. ხელშეკრულების მოშლის ან შეწყვეტისას უკან დააბრუნოს იჯარის ობიექტი იმ მდგომარეობაში, რაც მას გადაცემის მომენტში ჰქონდა, ნორმაღური ცვეთისა და განხორციელებული სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების გათვალისწინებით;

3.1.11. განკარგოს ის ნივთები და მასაღა, რითაც მან ქირავნობის ობიექტი აღჭურვა;

3.1.12. „მეიჯარის" თანხმობის გარეშე არ გასცეს „იჯარის ობიექტი" მესამე პირებზე ქვეიჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით;

3.1.13. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

3.2. მოიჯარე უფლებამოსილია:

3.2.1. შეთანხმებული ვადით, სარგებლობაში მიიღოს იჯარის ობიექტი;

3.2.2. შესაბამისი ორგანოების ნებართვის საფუძველზე (თუ მოითხოვება) კანონის შესაბამისად განათავსოს იჯარის ობიექტში ან/და ქონების გარე ფასადზე თავისი სავაჭრო ნიშანი (ლოგო), ბანერი თუ სხვა მარკეტინგული აღჭურვილობა.

3.3. თუ მოიჯარეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეექმნა საიჯარო ქონებით სარგებლობის შეზღუდვა ან მასში ყოფნა გაუსაძლისი გახდა გარე, მისგან დამოუკიდებელი ფაქტორების გამო და ასეთი გარემოებები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მოიჯარე უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამ შემთხვევაში მას არ დაეკისრება რამე სანქცია ან პირგასამტეხლო. ხელშეშლა შეიძლება გამოიხატოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთი სამუშაოების წარმოებით (გზის გადაკეტვა, კანალიზაციის მილის დაზიანება და სხვა), რომელიც ხელს უშლის მოიჯარეს, მის თანამშრომლებს ან მომხმარებლებს შენობით სარგებლობაში, ან სხვა გაუთვალისწინებელი მსგავსი გარემოება.

3.4. „მეიჯარე" ვალდებულია:

3.4.1. ხელი შეუწყოს „მოიჯარეს" ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა, იჯარის საგნით სარგებლობის

პროცესში, მათ შორის „მეიჯარესთან" შეთანხმებული რეკონსტრუქციის ან სხვა გაღაკეთების განხორციელებისას;

3.4.2. უზრუნველყოს ,,მოიჯარის" მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

3.4.3. საიჯარო პერიოდში გაათავისუფლოს და გაღასცეს ქონება მოიჯარეს სარგებლობისთვის;

3.4.4. ხელი შეუწყოს და გამოიჩინოს ჩართულობა „მოიჯარესაგან" დამოუკიდებელი მიზეზებით წყლის, გაზის, ელექტროენერგიის, სატელეფონო და სხვა კომუნალური მომსახურების ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებაში;

3.4.5. იჯარის ობიექტის გაღაცემამდე უზრუნველყოს ყველა სახის კომუნალური გაღასახადის დაფარვა;

3.4.6. შეთანხმების საფუძველზე მისცეს მოიჯარეს ქონების რეკონსტრუქციის უფლება საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს საჭირო გახდა მოიჯარის სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე;

3.4.7. აუნაზღაუროს მოიჯარეს ზიანი, გამოწვეული იჯარის ობიექტის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლით, თუ ამის გამო მოიჯარე დაკარგავს მისი სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში იგი გათავისუფლდება იჯარის ქირის გაღახდის ვალდებულებისაგან მისთვის მიყენებული ზიანის/ნაკლის პროპორციულად იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მას არ გააჩნდა იჯარის საგნით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობა. თუ მოიჯარეს იჯარის საგნით სარგებლობაში დაბრკოლება შეექმნება თავისივე ბრალეული ქმედებით, იგი არ გათავისუფლდება საიჯარო ქირის გაღახდის ვალდებულებისაგან;

3.4.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ გაზარდოს იჯარის ფასის ოდენობა;

3.4.9. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

3.5. თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მეიჯარე საიჯარო ქონებას გაასხვისებს, მხარეები თანხმდებიან, რომ ქონების უპირატესი შესყიდვის უფლებით ისარგებლებს მოიჯარე.

3.6. ქონების გასხვისების შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია ახალ მესაკუთრეს გააცნოს ეს ხელშეკრულება და განუსაზღვროს პირობა, რითაც ახალი მესაკუთრე ვალდებული იქნება არ შეწყვიტოს/შეცვალოს იჯარის ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის განმავლობაში.

4. პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანაღო შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვმა მხარემ უნდა აუზღაურებს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

4.2. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ მიაწოდონ ერთმანეთს ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნიშნულ საიჯარო ურთიერთობებზე, კერძოდ აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი უფლებრივი თუ სხვა სახის რისკების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქონების განაღგურება, დაზიანება, სანივთო ან/და სხვა უფლებებით დატვირთვა, გასხვისება ან/და სხვაგვარი შეღგი რაც შეუძლებელს გახდის ან/და გაართულებს იჯარის ობიექტით სარგებლობას.

4.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გაღახდის დაგვიანების შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,მოიჯარეს" პირგასამტეხლოს გაღახდა ყოველ ვალდაგაღაცილებულ ღღეზე, ვალდამოსული დავალიანების 0.5%-ის ოდენობით.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ „მოიჯარეს" „იჯარის ობიექტის" გაღაცემისას დახვდება კომუნალური გაღასახადების დავალიანება, უფლებამოსილია დავალიანება თავად დაფაროს და შემდგომ დაუქვითოს „მეიჯარეს" საიჯარო ქირიდან.

4.5. „მოიჯარე" პასუხისმგებელია „იჯარის ობიექტზე" სარეკლამო აბრის სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე განთავსებისთვის დაკისრებული ჯარიმის/სანქციის გაღახდაზე.

4.6. თუ მოიჯარე ჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას, მეიჯარე ხელშეკრულების ვალდმდე, ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ვალდებულია მოახდინოს მოიჯარის მიერ განხორციელებული სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების სრულად ანაზღაურება, ასეთის არსებობის შემთხვევში.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

5.1. **საიჯარო პერიოდი**: ეს ხელშეკრულება იღება და ძალაში შედის **2024 წლის 10 მაისიდან და მოქმედებს 2026 წლის 10 ივნისის** ჩათვლით. თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 (ორი) თვით ადრე არ აცნობებენ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, იგი ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად მომდევნო ორი წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს საიჯარო ქირის ოდენობის გადახედვა, რაც ცალკე შეთანხმებით გაფორმდება.

5.2. „მეიჯარეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ:

5.2.1. "მოიჯარე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;

5.2.2. "მოიჯარე" განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს „იჯარის ობიექტის" მდგომარეობას, რითაც ზიანი აღგება "მეიჯარეს";

5.2.3. „მოიჯარე" ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ გადაიხდის საიჯარო ქირას.

5.3. „მოიჯარეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ:

5.3.1. "მეიჯარე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;

5.3.2. თუ „მოიჯარეს" ეზღუდება „იჯარის ობიექტით" სარგებლობის უფლება ან/და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

5.4. ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ აღნიშნული ხდება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის გამო, დამრღვევმა მხარემ სრულად უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარჯები (იჯარის შეწყვეტის რეგისტრაცია და სხვა მსგავსი ხარჯები).

5.5. მოიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, იგი გადაუხდის მეიჯარეს ჯარიმას 2 თვის საიჯარო ქირას და წინსწრებით გადახდილი ბოლო თვის საიჯარო საფასური (9 000 აშშ დოლარი) დარჩება მეიჯარესთან.

5.6. მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, იგი გადაუხდის მოიჯარეს გაწეული სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებას, წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

5.7. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, "მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და საიჯარო ქირა, იგი ასევე ვალდებულია დაცალოს-გაათავისუფლოს საიჯარო ობიექტი, რის შემდეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს „იჯარის ობიექტის" მიღება-ჩაბარების აქტი.

5.8. იმ შემთხვევაში, თუ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარე 15 სამუშაო დღის ვადაში არ დაცლის „იჯარის ობიექტს" და არ ჩააბარებს მას მეიჯარეს, მოიჯარეს დაეკისრება ვალდებულება გადაიხადოს გაორმაგებული საიჯარო ქირა იჯარის ობიექტის ფაქტობრივად ფლობის მთელ პერიოდზე.

6. ფორს მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა) ზეგავლენით, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთას გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს. დაუძლეველ ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება ისეთ მოვლენებს, რომლთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (ფორს-მაჟორი). ამ შემთხვევაში ვალდებულებათა შესრულება გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე,

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ

აღიარებული არ არის. თუ ასეთი მოვლენები გაგრძელდა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ხელშეკრულება.

7. სხვა პირობები

7.1. მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

7.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის, ან მოშლის შემთხვევაში, ყველა სახის გაუმჯობესება და რემონტი ობიექტზე, რომლის მოცილებაც შეუძლებელია ჩაჩება „მეიჯარეს“, ხოლო ის აღჭურვილობანი რომლითაც მოხდა შენობის დაკომპლექტება და რომლის მოცილება შეუძლებელია იჯარის ობიექტის დაზიანების გარეშე, ჩაჩება მეიჯარესთან, შესაბამისი კომპენსაციის გადახდით, მეიჯარის ინტერესების გათვალისწინებით. თუ მეიჯარის ინტერესებში არ შედის არსებული აღჭურვილობები, მაშინ შენობის შესაბამისი ნაწილი უნდა დაბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობაში.

7.3. ნებისმიერი ნივთი/მოწყობილობა, რომელსაც საიჯარო პერიოდში დაამონტაჟებს „მოიჯარე“, წარმოადგენს მის საკუთრებას და იგი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაიტანოს იგი საიჯარო ფართიდან. თუ ნივთის/მოწყობილობის გატანა გამოიწვევს ფართის დაზიანებას, ამგვარი დაზიანების აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება „მოიჯარეს“.

7.4. მხარეები თანხმდებიან, რომ იჯარის ობიექტზე ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია დამატებითი შენობა/ნაგებობის გამართვა, ისე რომ ზიანი არ მიადგეს მოიჯარის რეპუტაციას, არ გაუარესდეს იჯარის საგნის ვიზუალური მახასიათებლები და მოიჯარეს არ გაუუარესდეს იჯარის საგნით სარგებლობის პირობები.

7.5. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვაპირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

7.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, კერძოდ რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადავა მათ სამართალ მემკვიდრეებზე ან დამფუძნებლებზე სუბიექტში მათი წილის პროპორციულად.

7.7. მხარეები ვადასტურებთ, რომ ეს ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება.

7.8. ეს ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

7.9. ეს ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.10. ნებისმიერი მიმოწერა ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. ამასთან, მხარეთა მიერ საკომუნიკაციოდ დადგენილია შემდეგი ელექტრონული მისამართები:

- მეიჯარის მხრიდან - jikidze@gmail.com
- მოიჯარის მხრიდან - Office@ardi.ge

7.11. ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი დავა გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით, ხოლო ასეთი მოლაპარაკების შეუძლებლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

7.12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. თითეული მხარეს გადაეცა თითო ეგზემპლარი ხოლო ერთი ეგზემპლარი „მოიჯარის“ მიერ რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ხელმოწერები

ახდი

უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება

მეიჯარეს მხრიდან

დასახელება:	შპს აღ-ჯი
საიდენტიფიკაციო:	405322137
ხელმოწერა:	
უფლებამოსილი პირი / მინდობილი პირი:	ლევან ჯიქიძე (პ/ნ: 54001008082)
თარიღი:	10.05.2024

მოიჯარეს მხრიდან

დასახელება:	სს ახდი დაზღვევა
საიდენტიფიკაციო:	405662242
ხელმოწერა:	
უფლებამოსილი პირი / მინდობილი პირი:	თინათინ ბიწაძე (პ/ნ: 01019048902)
თარიღი:	10.05.2024